



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 357
--

21 ივლისი
“ -- ” ----- 2023 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.05.009.122; №01.14.05.009.123) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის №584 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 19 ივლისის №23.1081.1207 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.05.009.122; №01.14.05.009.123) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის №584 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე <http://www.ms.gov.ge> რეგისტრირებული №012319720-67 (№0123199970-67; №01231992950-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი მტკიცდება იმ პირობით, რომ აღნიშნული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი ძალაში შევა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ავტორის თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.


3. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 23.1081.1207
19 / ივლისი / 2023 წ.

**„ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე
(საკადასტრო კოდები: N01.14.05.009.122; N01.14.05.009.123)
საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის
დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 4 ნოემბრის N584 განკარგულებით დამტკიცებული
განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის
მოწონების შესახებ**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 17 ივლისის N012319720-67 (N0123199970-67; N01231992950-67) განცხადებით მიმართა გივი კახაბრიშვილმა (პ/ნ: 01024065351) და მოითხოვა „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.05.009.122; N01.14.05.009.123) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N584 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო არეალი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში; გიორგი დანელიას ქუჩა N57-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.05.009.122; N01.14.05.009.139; N01.14.05.009.143; N01.14.05.009.142; N01.14.05.009.141; N01.14.05.009.140; N01.14.05.009.138; N01.14.05.009.137). საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 37 190 კვ.მ. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება ეხება N01.14.05.009.122 საკადასტრო ერთეულს.

„ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.05.009.122; N01.14.05.009.123) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N584 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.



„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.009.122) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

საპროექტო ტერიტორიაზე გადის მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზი. პროექტით დაცულია მისი შეზღუდვის არეალი.

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შესაბამისად, კორექტირება ეხება N01.14.05.009.122 საკადასტრო ერთეულს - დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით N1, 2, 3, 4 სექტორებს. აღნიშნულ სექტორებზე დადგენილი იყო საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და დაგეგმილი იყო ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განთავსება.

კორექტირებული პროექტის მიხედვით, დაგეგმილია N1, 2, 3, 4 სექტორების გაერთიანება, ერთ სექტორად, არსებული საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 5 -ით (სზ-5) და ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ნაცვლად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება. ასევე, იცვლება სექტორების ნუმერაცია.

ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები სექტორებზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების მიხედვით:

ნაკვეთი A1 - სზ-5 - 2062 კვ.მ.

კ-1= 0,5 - 1031 კვ.მ.

კ-2= 1,5 - 3 093 კვ.მ.

კ-3= 0,3 - 1179.2 კვ.მ.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მაქსიმალური სიმაღლე - 35 მეტრი.

10 სართული.

ნაკვეთი A2 - სზ-5 - 12961 კვ.მ.

კ-1= 0,5 - 6 480.5 კვ.მ.

კ-2= 1.4 - 18 145.4 კვ.მ.

კ-3= 0,4 - 5 184.4 კვ.მ.

ინდივიდუალურის საცხოვრებელი სახლი

მაქსიმალური სიმაღლე - 46,2 მეტრი.

14 მიწისზედა, 1 მიწისქვეშა სართული.

ნაკვეთი A3 - სზ-5 - 6047 კვ.მ.

კ-1= 0,5 - 3 023.5 კვ.მ.

კ-2= 1.4 - 8 465.8 კვ.მ.

კ-3= 0,4 - 2 418.8 კვ.მ.

ინდივიდუალურის საცხოვრებელი სახლი

მაქსიმალური სიმაღლე - 49,5 მეტრი.

15 მიწისზედა, 1 მიწისქვეშა სართული.

ნაკვეთი A4 - სზ-5 - 14058 კვ.მ.

კ-1= 0,5 - 3 023.5 კვ.მ.

კ-2= 1.4 - 8 465.8 კვ.მ.

კ-3= 0,4 - 2 418.8 კვ.მ.

ინდივიდუალურის საცხოვრებელი სახლი

მაქსიმალური სიმაღლე - 49,5 მეტრი.

15 მიწისზედა, 1 მიწისქვეშა სართული.

ნაკვეთი A5 - სზ-2 - 603 კვ.მ.

კ-1= 0,5 - 301.5 კვ.მ.

კ-2= 0,8 - 482.4 კვ.მ.

კ-3= 0,3 - 180.9 კვ.მ.

ინდივიდუალურის საცხოვრებელი სახლი

მაქსიმალური სიმაღლე - 15 მეტრი.

3 მიწისზედა, 1 მიწისქვეშა სართული.

ნაკვეთი A6 - სზ-2 - 514 კვ.მ.

კ-1= 0,5 - 257 კვ.მ.

კ-2= 0,8 - 411.2 კვ.მ.

კ-3= 0,3 - 154.2 კვ.მ.

ინდივიდუალურის საცხოვრებელი სახლი

მაქსიმალური სიმაღლე - 15 მეტრი.

3 მიწისზედა, 1 მიწისქვეშა სართული.

ნაკვეთი A7 - სზ-2 - 501 კვ.მ.

კ-1= 0,5 - 250.5 კვ.მ.

კ-2= 0,8 - 400.8 კვ.მ.

კ-3= 0,3 - 150.3 კვ.მ.

ინდივიდუალურის საცხოვრებელი სახლი

მაქსიმალური სიმაღლე - 15 მეტრი.

3 მიწისზედა, 1 მიწისქვეშა სართული.

ნაკვეთი A8 - სზ-2 - 444 კვ.მ.

კ-1= 0,5 - 222 კვ.მ.

კ-2= 0,8 - 355.2 კვ.მ.

კ-3= 0,3 - 133.2 კვ.მ.

ინდივიდუალურის საცხოვრებელი სახლი

მაქსიმალური სიმაღლე - 15 მეტრი.

3 მიწისზედა, 1 მიწისქვეშა სართული.

ფუნქციური გამოყენებები:

მრავალბინიანი საცხოვრებელი

ინდივიდუალური საცხოვრებელი

არსებული ფუნქციური ზონირება:

საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) – 4 124 კვ.მ.

საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) – 33 066 კვ.მ.

საპროექტო ფუნქციური ზონირება:

საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) – 2 062 კვ.მ.

საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) – 35 128 კვ.მ.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუანაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 19 ივლისის N0123200123 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური,

კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 19 ივლისის N0123200781 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.05.009.122; N01.14.05.009.123) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N584 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ემუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N012319720-67 (N0123199970-67; N01231992950-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.05.009.122; N01.14.05.009.123) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N584 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) ირაკლი ზმაღაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 0123200123
თარიღი: 19/07/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 18 ივლისის №01231992950-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.05.009.122; **არსებული ფუნქციური ზონირება:** საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2); **საპროექტო ფუნქციური ზონირება:** საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **3 ძირი** (ს/კ: 01.14.05.009.122 - №2; №957; №958) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11- 58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15-ს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

ასევე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნების გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **38 ძირი** (ს/კ: 01.14.05.009.122 - №3, №4, №6, №896-897, №899-903, №906, №930-931, №933-939; №941-949, №953, №954, №959, №961, №965, №1132, №1134, №1137, №1138) **ჯანსაღი ბუჩქი** მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზენმელი/ხმობადი ზეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **ერთი ძირი** (ს/კ:01.14.05.009.122 - №1) **ხმობადი თელა** მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **12 ძირი** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს, დადგენილების მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული **12 ძირი თელა** (ს/კ: 01.14.05.009.122 - №5; №7; №904; №940; №950-№952; №955; №960; №962; №963; №964) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

აქვე, გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასაძვინებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (არსებული/ გადასარგავი: 16 ძირი თელა და საპროექტოდ დასარგავი: 25 ძირი - მინდვრის ნეკერჩხალი, პიმალაის კედარი, იაპონური სოფორა, ევროპული მუხა, ჩვეულებრივი იფანი, იტალიური ფიჭვი) სრულად ითვისებს გ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**619 მ²**).

იმის გათვალისწინებით, რომ გასაძვინებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

აქვე გაცნობებთ, რომ დეტალური პროექტირების ეტაპზე განხილვად ექვემდებარება უხედა წარმოდგინებს იმგვარი დენდროლოგიური პროექტი, რომელზეც საპროექტოდ დასარგავი მწვანე-ნარგავების ნიშნულების გარდა დატანილი იქნება თითოეული სახეობისთვის განსაზღვრული რაოდენობა.

დამატებით გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების 38-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დეტალური პროექტირების ეტაპზე თითოეულ ჯანსაღ მწვანე ნარგავს (მათ შორის: №904, №962-964) უნდა მიეთითოს როგორც გადარგვის ისე განარების შესაძლებლობა.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება საზოგადოებრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.**

გამოყენებულია კვალიფიკირებული ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 0123200781
თარიღი: 19/07/2023

2023 წლის 18 ივლისის N 01231992950-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.05.009.122, 01.14.05.009.137, 01.14.05.009.143, 01.14.05.009.139, 01.14.05.009.142, 01.14.05.009.140, 01.14.05.009.141, 01.14.05.009.138) ინდივიდუალური ერთბინიანი და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა დაგეგმილი პროექტი და წარმოდგენილი სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2022 წლის 11 მაისის N 01221311706-67 განცხადების პასუხად N 01221362197 წერილით.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შესაბამის თანხმობის წერილებთან ერთად.

ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რაც არსებით უარყოფით ზეგავლენას მოახდენს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.


გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





დადგენა	
48	
ფორმის/მასშტაბი	
A3/1750	
შეიქმნა	საქართველო ტერიტორია მიმდებარე ადმინისტრაციები ← არსებული კლ.კამპები ...გადასული საფენიან 48 მუხედელ დაბალი გეოლოგიური საფარიები ძირითადი ტერიტორია (კლ.კამპების მუხედელ) მკაფიო კომპარტი, ინკ. საფარიები

[illegible]

[illegible]

საგულის მონაცემი	საგულის ფარგლი	კონკრეტული დანერგული ზონა	ფუნქციური ზონის ფარგლი	ქ.1	ქ.1	ქ.2	ქ.2	ქ.3	ქ.3	ფუნქციური საზღვრის პრეცედენსი	შემოსილი განათვისების წესი	საფარველი განათვისების წესი	შენიშვნა
A1	2652	საგზაო პარკი ზონა 5 (06-5)	2062	1031	0.5	3093	1.5	1179.2	0.3	საგზაო პარკი - 100%	დასაშვებია ჩამუშავებული ზონის განათვისება	დასაშვებია ჩამუშავებული ზონის განათვისება	შენიშვნა: საგზაო პარკი ზონა 5 (06-5) ზონის განათვისების წესი
A2	12961	საგზაო პარკი ზონა 5 (06-5)	12961	6480.5	0.5	18145.4	1.4	5184.4	0.4	საგზაო პარკი - 100%	დასაშვებია ჩამუშავებული ზონის განათვისება	დასაშვებია ჩამუშავებული ზონის განათვისება	შენიშვნა: საგზაო პარკი ზონა 5 (06-5) ზონის განათვისების წესი
A3	6037	საგზაო პარკი ზონა 5 (06-5)	6047	3023.5	0.5	8465.8	1.4	2418.8	0.4	საგზაო პარკი - 100%	დასაშვებია ჩამუშავებული ზონის განათვისება	დასაშვებია ჩამუშავებული ზონის განათვისება	შენიშვნა: საგზაო პარკი ზონა 5 (06-5) ზონის განათვისების წესი
A4	14053	საგზაო პარკი ზონა 5 (06-5)	14058	7029	0.5	21087	1.5	4217.4	0.3	საგზაო პარკი - 100%	დასაშვებია ჩამუშავებული ზონის განათვისება	დასაშვებია ჩამუშავებული ზონის განათვისება	შენიშვნა: საგზაო პარკი ზონა 5 (06-5) ზონის განათვისების წესი
A5	603	საგზაო პარკი ზონა 2 (06-2)	603	301.5	0.5	482.4	0.8	180.9	0.3	საგზაო პარკი - 100%	დასაშვებია ჩამუშავებული ზონის განათვისება	დასაშვებია ჩამუშავებული ზონის განათვისება	შენიშვნა: საგზაო პარკი ზონა 2 (06-2) ზონის განათვისების წესი
A6	514	საგზაო პარკი ზონა 2 (06-2)	514	25.7	0.5	411.2	0.8	154.2	0.3	საგზაო პარკი - 100%	დასაშვებია ჩამუშავებული ზონის განათვისება	დასაშვებია ჩამუშავებული ზონის განათვისება	შენიშვნა: საგზაო პარკი ზონა 2 (06-2) ზონის განათვისების წესი
A7	501	საგზაო პარკი ზონა 2 (06-2)	501	210.5	0.5	420.8	0.8	150.3	0.3	საგზაო პარკი - 100%	დასაშვებია ჩამუშავებული ზონის განათვისება	დასაშვებია ჩამუშავებული ზონის განათვისება	შენიშვნა: საგზაო პარკი ზონა 2 (06-2) ზონის განათვისების წესი

პარტიული

51.

დარიშხების სახელი


A37/1 750

შენიშვნა

..... საერთაშორისო ტერიტორია
..... მიწისქვეშა საცხოვრებელი
(—) არსებობს, აღსანიშნავია
..... უკიდურესი საზღვრები 48 გზისადაც
..... საზღვრებიდან 48 გზისადაც
..... ტერიტორია (უბრუნების
ქუჩისგან)

..... საერთაშორისო ტერიტორია

[illegible]

[illegible]

ნაკეთი ნივთი	ნაკეთი ფარობი	კონკრეტული ფუნქციური ზონა	ფუნქციური ზონის ფარობი	კ1 სადაბნობო ფარობი	კ2 სადაბნობო ფარობი	კ3 სადაბნობო ფარობი	კ3 სადაბნობო ფარობი	ფუნქციური საბუთის პრიორიტეტი	შემოს გამოსავალი წესი	სურსათი-ფუნქციური წესის სახეობა	მზის ნაკეთი ტექნიკური მუშაობის ზონა/წარმო (საბუთი/ფუნქციური საბუთი/ფუნქციური საბუთი/ფუნქციური)
A1	2062	საქონლებული ზონა 5 (რბ-5)	2062	1031	3093	1.5	1179.2	0.3	საბმონებო - 100%	ღია	მზის ნაკეთი ტექნიკური მუშაობის ზონა/წარმო (საბუთი/ფუნქციური საბუთი/ფუნქციური)
A2	12961	საქონლებული ზონა 5 (რბ-5)	12961	6480.5	0.5	18146.4	1.4	5184.4	0.4	ღია	მზის ნაკეთი ტექნიკური მუშაობის ზონა/წარმო (საბუთი/ფუნქციური საბუთი/ფუნქციური)
A3	6047	საქონლებული ზონა 5 (რბ-5)	6047	3023.5	0.5	8465.8	1.4	2418.8	0.4	ღია	მზის ნაკეთი ტექნიკური მუშაობის ზონა/წარმო (საბუთი/ფუნქციური საბუთი/ფუნქციური)
A4	14058	საქონლებული ზონა 5 (რბ-5)	14058	7029	0.5	21087	1.5	4217.4	0.3	ღია	მზის ნაკეთი ტექნიკური მუშაობის ზონა/წარმო (საბუთი/ფუნქციური საბუთი/ფუნქციური)
A5	603	საქონლებული ზონა 2 (რბ-2)	603	301.5	0.5	482.4	0.8	180.9	0.3	ღია	მზის ნაკეთი ტექნიკური მუშაობის ზონა/წარმო (საბუთი/ფუნქციური საბუთი/ფუნქციური)
A6	514	საქონლებული ზონა 2 (რბ-2)	514	257	0.5	411.2	0.8	154.2	0.3	ღია	მზის ნაკეთი ტექნიკური მუშაობის ზონა/წარმო (საბუთი/ფუნქციური საბუთი/ფუნქციური)
A7	501	საქონლებული ზონა 2 (რბ-2)	501	250.5	0.5	400.8	0.8	150.3	0.3	ღია	მზის ნაკეთი ტექნიკური მუშაობის ზონა/წარმო (საბუთი/ფუნქციური საბუთი/ფუნქციური)

[illegible]

